COMMITTEE OF MINISTERS
COMITÉ DES MINISTRES

COUNCIL OF EUROPE
1949 - 2024
CONSEIL DE L'EUROPE

MINISTERS' DEPUTIES
DÉLÉGUÉS DES MINISTRES

Recommendations
Recommandations

CM/Rec(2017)4

31/05/2017

Recommendation of the Committee of Ministers to member States on youth work

Unofficial translation into Georgian

Recommandation du Comité des Ministres aux Etats membres relative au travail de jeunesse

Traduction non officielle en géorgien

2017 წლის 31 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია CM/Rec(2017)4 და განმარტებითი მემორანდუმი

Source - Council of Europe, May 2017, original English and French versions
© Georgian LEPL Youth Agency, April 2023, Georgian translation

Text originated by the Council of Europe. This translation into a non-official language is published by arrangement with the Council of Europe, but under the sole responsibility of the translator/publisher

Source - Conseil de l'Europe, mai 2017, versions originales en anglais et français
© Georgian LEPL Youth Agency, avril 2023, pour la traduction en géorgien

Le texte original provient du Conseil de l'Europe. Cette traduction en une langue non-officielle est réalisée avec l'accord du Conseil de l'Europe mais sous l'unique responsabilité du traducteur/éditeur.

ახალგაზრდული საქმიანობა

2017 წლის 31 მაისს ევროპის საბჭოს
მინისტრთა კომიტეტის მიერ
მიღებული **რეკომენდაცია**
CM/Rec(2017)4 და განმარტებითი
მემორანდუმი

ევროპის საბჭო

სარჩევი

რეკომენდაცია CM/REC(2017)4 **4**

განმარტებითი მემორანდუმი **12**

I. შესავალი 12

II. შემუშავების პროცესი 13

III. ახალგაზრდულ საქმიანობაზე რეკომენდაციის საჭიროების მიზეზები 14

IV. ახალგაზრდული საქმიანობის ხედვა ევროპაში 16

V. რას მოიცავს რეკომენდაცია? 17

V. შემდგომი კონტროლი 22

ტერმინთა განმარტება **23**

რეკომენდაცია CM/Rec(2017)4

ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისადმი გაცემული რეკომენდაცია

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2017 წლის 31 მაისს, მინისტრთა მოადგილეების 1287-ე შეხვედრაზე)

ევროპის საბჭოს წესდების მე-15 მუხლის ბ პუნქტის თანახმად, მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მისიას წევრ ქვეყნებს შორის უფრო მტკიცე ერთიანობის მიღწევის თაობაზე, *მათ შორის,* საერთო პრინციპებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერის გზით;

ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ და განმარტებულ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ETS No. 5, მიღებულ იქნა 1950 წელს, ხოლო შემდგომში შეტანილ იქნა შესწორება და დამატება) და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ მიღებულ და განმარტებულ ევროპულ სოციალურ ქარტიას (მიღებულ იქნა 1961 წელს, ETS No. 35, გადაიხედა 1996 წელს, ETS No 163, ხოლო შემდგომში შეტანილ იქნა შესწორება და დამატება);

ეხმიანება მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ მიღებულ რეზოლუცია CM/Res(2008)23-ს;

ეხმიანება მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისადმი გაცემულ რეკომენდაციებში ასახული პრინციპების პრაქტიკაში გატარებას, კერძოდ:

რეკომენდაცია Rec(2003)8-ს: ახალგაზრდების არაფორმალური განათლების/სწავლების მხარდაჭერისა და აღიარების შესახებ; რეკომენდაცია Rec(2004)13-ს: ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ; რეკომენდაცია Rec(2006)1-ს: ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესში ნაციონალური ახალგაზრდული საბჭოების მნიშვნელობის შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2007)13-ს: განათლებაში გენდერული საკითხების დანერგვის („მეინსტრიმინგის“) შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2010)7-ს: ევროპის საბჭოს ქარტიას დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2010)8-ს: ახალგაზრდული ინფორმაციის შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2012)2-ს: 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2012)13-ს: ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2015)3-ს: დაუცველი რეგიონების წარმომადგენელი ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2016)7-ს: ახალგაზრდებისთვის უფლებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ;

ითვალისწინებს გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციას;

ეხმიანება საპარლამენტო ასამბლეის შემდეგ რეკომენდაციებს: რეკომენდაცია 1437 (2000)-ს: „არაფორმალური განათლების შესახებ“; რეკომენდაცია 1978 (2011)-ს: „სწრაფვა ახალგაზრდების უფლებების ევროპული ჩარჩო კონვენციისკენ“; რეკომენდაცია 2015(2013)-ს: „ახალგაზრდების წვდომა ფუნდამენტურ უფლებებზე“ და მისივე რეზოლუცია 1885 (2012)-ს: „მსხვერპლად შეწირული ახალგაზრდა თაობა: ფინანსური კრიზისის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები“ ასევე, ამ რეკომენდაციებზე მინისტრთა კომიტეტის პასუხებს;

ეხმიანება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის რეზოლუცია 386(2015)-ს: „ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერების გაუქმება: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის, ასევე ახალგაზრდებისთვის ლინგუა ფრანკას დამკვიდრება“ და მისივე რეკომენდაცია 128 (2003)-ს: „ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია“ და ამ რეკომენდაციაზე მინისტრთა კომიტეტის პასუხებს;

შემდგომში ითვალისწინებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების პირველი პირებისა და მთავრობების მესამე სამიტზე (გაიმართა 2005 წლის 16-17 მაისს, ქალაქ ვარშავაში) მიღებულ დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმას, რომლის თანახმადაც ევროპის საბჭომ შემდგომში უნდა სრულყოს ახალგაზრდული სფეროს მიმართ თავისი განსაკუთრებული პოზიცია;

ეჭვგარეშეა, რომ:

- ევროპული იდენტობისა და ევროპის საბჭოს საკვანძო ღირებულებების (ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და დემოკრატია) მდგრადობა ეფუძნება ახალგაზრდების შემოქმედებითობას და კომპეტენციებს, ასევე, ახალგაზრდების სოციალურ პასუხისმგელობას, მათ მიერ შეტანილ წვლილსა და მომავლისადმი რწმენას;
- მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდებს, რათა მათ, როგორც საზოგადოების დამოუკიდებელმა წევრებმა, შეძლონ თავიანთი პოტენციალის სრულყოფილად რეალიზება, საშუალება ჰქონდეთ განახორციელონ თავიანთი ცხოვრებისეული მისწრაფებები და შეასრულონ დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპები;
- სამოქალაქო ჩართულობისა და სოციალური აქტივობისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეძენისთვის შესაბამისი შესაძლებლობების უზრუნველყოფის გზით, ახალგაზრდულ საქმიანობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აქტიური მოქალაქეობის პრინციპის დამკვიდრებაში;

აცნობიერებს იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან ზრდასრულობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ეტაპზე გადასვლის პროცესთან არის დაკავშირებული, ასევე არსებული შესაძლებლობების კლებით ტენდეციას, რაც მზარდი უმუშევრობით, სიღარიბით, დისკრიმინაციითა და სოციალური გარიყულობით არის განპირობებული;

აცნობიერებს ევროპის საბჭოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში ახალგაზრდული საქმიანობის უზრუნველყოფაზე ეკონომიკური კრიზისის გავლენას;

აღიარებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის მიერ იმ ახალგაზრდული პოლიტიკის მხარდაჭერის პროცესში გაწეული სამუშაოს მნიშვნელობას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას, სოციალურ ინკლუზიას, კულტურათაშორის დიალოგს, გენდერულ თანასწორობასა და ახალგაზრდების

აქტიურ მონაწილეობას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ევროპული ახალგაზრდული ცენტრების, ევროპის ახალგაზრდული ფონდის, მთავრობათშორისი თანამშრომლობისა და თანამმართველობის პრინციპებზე მომუშავე საწესდებო ორგანოების, ასევე ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდულ სფეროში არსებული პარტნიორობის მეშვეობით ხორციელდება;

აღიარებს ახალგაზრდულ სფეროში ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის, მათ შორის ევროკაშირის შეთანხმებულად მოქმედებისა და სინერგიის მიღწევის მნიშვნელობას;

აღიარებს ყველა წევრი ქვეყნის მასშტაბით, ახალგაზრდული მუშაკების იმ პოზიტიურ წვლილს, რომელიც მათ, ინკლუზიური, დემოკრატიული და მშვიდობიანი საზოგადოებების ჩამოყალიბების პროცესში, ახალგაზრდების გაძლიერებითა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით შეაქვთ.

ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ რიგით მეორე ევროპული კონვენცია (2015) სახელწოდებით, „განსხვავებების მსოფლიოს შექმნა“ („Making a world of difference“) მიზნად ისახავდა ახალგაზრდული საქმიანობის ევროპული დღის წესრიგის შედგენას.

აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, წევრი ქვეყნების მთავრობებს, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, ახალგაზრდული საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების განახლების რეკომენდაცია ეძლევათ, კერძოდ კი:

1. ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე არსებული ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის დანერგვისა ან მისი შემდგომი განვითარების პროცესი სათანადოდ დაცული და პროაქტიურად მხარდაჭერილი უნდა იყოს. როგორც წევრ ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნების შიგნით ახალგაზრდული საქმიანობის მრავალფეროვანი ხასიათის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სტრატეგიების, ჩარჩო დოკუმენტების, კანონმდებლობის, მდგრადი სტრუქტურებისა და რესურსების საჭიროებას, ასევე სხვა სექტორებთან და იმ მომიჯნავე პოლიტიკის დოკუმენტებთან ეფექტურ კოორდინაციას, რომლებიც მხარს უჭერენ ახალგაზრდულ საქმიანობაზე ყველა ახალგაზრდის თანაბარ ხელმისაწვდომობას; ახალგაზრდული მუშაკები და ახალგაზრდები აქტიურად უნდა ჩაერთონ ყველა იმ ღონისძიების გატარებაში, რომლებიც იმპლემენტაციის პროცესისთვის დაიგეგმება;

2. მოხალისე და ანაზღაურების მქონე ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგის მიზნით, უნდა ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული, მოქნილი და კომპეტენციაზე დაფუძნებული ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც არსებული პრაქტიკა, ახალი ტენდენციები და სფეროები, ისე ახალგაზრდული საქმიანობის მრავალფეროვანი ხასიათი. ამასთან, აღნიშნული ჩარჩოს შემუშავების პროცესი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ახალგაზრდული მუშაკებისა და ახალგაზრდების უშუალო ჩართულობით უნდა წარიმართოს;

3. გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ რეკომენდაციის დანართში მოცემული პრინციპები და ღონისძიებები, ასევე, ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლები უნდა წახალისდნენ იმავე ქმედებისკენ;

4. მხარდაჭერილ უნდა იქნას ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის ინიციატივა მაღალი დონის, სპეციალური ხასიათის მქონე და ევროპის ახალგაზრდულ სფეროში მოღვაწე შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ

დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს საშუალოვადიანი სტრატეგია ევროპაში ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის ჩამოყალიბებისთვის და მიზნად დაისახავს:

- ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ცოდნასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კოორდინაციის გაუმჯობესებას;
- ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში არსებული პრაქტიკების გაცვლის, თანატოლგანმანათლებლობის, მდგრადი ქსელებისა და პარტნიორობის შექმნის შემდგომ მხარდაჭერას;
- ახალგაზრდულ სექტორში, ასევე ყველა იმ დარგსა და სპეციალური ცოდნის სფეროებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებას, სადაც ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება. უფრო კონკრეტულად კი- თანამშრომლობის გაძლიერებას, როგორც ფორმალურ განათლებასა და ახალგაზრდულ საქმიანობას შორის, ასევე საჯარო უწყებებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის;
- ახალგაზრდულ საქმიანობას, ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ახლგაზრდებთან დაკავშირებულ კვლევით საქმიანობას შორის დიალოგის გაძლიერებას;
- ახალგაზრდული საქმიანობის ინსტიტუციურ გაძლიერებას, რათა მან საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე, ტენდენციებსა და ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებზე შეძლოს რეაგირება;
- როგორც არსებული საგანმანათლებლო და სატრენინგო (პროფესიული ტრენინგი და უმაღლესი განათლება) შესაძლებლობების შესახებ, ასევე მოხალისე და ანაზღაურების მქონე ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების ვალიდაციის არსებულ სისტემებთან დაკავშირებით მოკვლევის („მეფინგის“) წარმოებას;
- მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებისა და იმპლემენტაციის პროცესში წევრი ქვეყნების მხარდაჭერის მიზნით, დახმარების რიგი მექანიზმების განვითარებას;

5. გაძლიერდეს ევროპული და ეროვნული კვლევითი საქმიანობა ახალგაზრდული საქმიანობის სხვადასხვა ფორმების, მათი ღირებულებების, გავლენისა და მნიშვნელობის შესახებ;

6. ხელი შეეწყოს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგებისა და გავლენის შესახებ მიმოხილვისა და შეფასების შესაბამისი ფორმების განვითარებას, რაც შესაძლებელია განხორციელდეს წევრ ქვეყნებში ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმიანობის პორტფოლიოს გავრცელების, აღიარებისა და მისი გავლენის გაძლიერების გზით;

7. მოხდეს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ცენტრების ხარისხის სტანდარტის, როგორც კარგი პრაქტიკის პოპულარიზაცია;

გარდა ამისა, რეკომენდირებულია, რომ წევრი ქვეყნების მთავრობებმა:

- ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის შემდგომი განვითარების, მის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მისდამი პასუხისმგებლობის განმტკიცების მიზნით, უზრუნველყონ ამ რეკომენდაციისა და მისი დანართის თარგმნა და შესაბამისი უწყებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის მისი (ხელმისაწვდომ ფორმატებში) მიწოდება;
- რეკომენდაციის მიღებიდან ხუთი წლის თავზე, მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში უზრუნველყონ იმპლემენტაციის პროცესის განხილვა.

რეკომენდაცია CM/Rec(2017)4-ის დანართი

ა.რეკომენდაციის მიზანი და ფარგლები- ახალგაზრდული საქმიანობის განმარტება და ფარგლები

მოცემული რეკომენდაცია ახალგაზრდულ საქმიანობას მრავალი მიმართულებით ეხება. იგი მიზნად ისახავს წაახალისოს წევრი ქვეყნები, რათა მათ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, შეიმუშავონ ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკა და პრაქტიკა. ამასთან, იგი წევრ ქვეყნებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე ახალგაზრდული საქმიანობისთვის საჭირო მხარდაჭერას გააძლიერებს.

თითოეულ წევრ ქვეყანაში ახალგაზრდული საქმიანობისგან სიკეთეების მიმღებთა ასაკობრივი სპექტრი უნდა ასახავდეს, როგორც სამართლებრივ და კონსტიტუციურ ჩარჩოს, ისე არსებულ პრაქტიკებს.

ახალგაზრდული საქმიანობა ფართო ტერმინია, რომელიც სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოს დაცვისა, ან/და პოლიტიკური ხასიათის მქონე აქტივობების დიდ ჯგუფს აერთიანებს. ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება არაფორმალურ და ფორმალურს გარე სწავლების პროცესს, რომელშიც ახალგაზრდები ნებაყოფლობით არიან ჩართული. ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებენ ანაზღაურების მქონე და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკები ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად. ახალგაზრდული საქმიანობა, არსებითად სოციალური პრაქტიკაა, იგი ახალგაზრდებთან და მათ თემებთან მუშაობას გულისხმობს და თემის საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობასა და ინკლუზიას უწყობს ხელს.

განსხვავებული ტრადიციებისა და განსაზღვრებების მიუხედავად, საერთო გაგებით, ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი ფუნქცია ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი მოტივაციის ამაღლებაა, რათა მათ შეძლონ თავიანთი პირადი, სოციალური და უფრო ფართო სპექტრში, მთლიანად საზოგადობის განვითარებისთვის სარგებლის მომტანი ცხოვრებისეული გზების პოვნა და გაყოლა.

ახალგაზრდული საქმიანობა ამ ყველაფერს ინიციატივებისა და აქტივობების აქტიური ფორმირების, მომზადების, მიწოდებისა და შეფასების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობითა და მათი გაძლიერების გზით ახორციელებს. აღნიშნული ინიციატივები და აქტივობები, თავის მხრივ, ახალგაზრდების საჭიროებებს, ინტერესებს, იდეებსა და გამოცდილებებს ასახავს. არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლების ამ პროცესებით ახალგაზრდები თავდაჯერებული წინსვლისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს იძენენ, ასევე უყალიბდებათ ღირებულებები და დამოკიდებულებები.

მსგავსი შედეგების მისაღწევად, ახალგაზრდულმა საქმიანობამ უნდა შექმნას შესაძლებლობების მქონე ისეთი გარემო, რომელიც ერთსა და იმავე დროს იქნება აქტიურად ინკლუზიური და სოციალურად საინტერესო, შემოქმედებითი და უსაფრთხო, გასართობი და საყურადღებო, სახალისო და ორგანიზებული. იგი უნდა ხასიათდებოდეს ხელმისაწვდომობით, ღიაობითა და მოქნილობით და ამავე დროს, ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის დიალოგის წარმოებას. ამასთან, მან კონცენტრირება უნდა მოახდინოს ახალგაზრდებზე, შექმნას სივრცეები კავშირების დასამყარებლად და გამონახოს ის გზები, რომლებიც ცხოვრების ზრდასრულ და დამოუკიდებელ ეტაპებზე

ახალგაზრდების ტრანზიციის პროცესს შეუწყობს ხელს.

როგორც დასტურდება, ახალგაზრდულ საქმიანობას, რომელიც ხშირად სხვა სექტორებთან პარტნიორობითა და თანამშრომლობით ხორციელდება, ინდივიდებისთვის, მათი თემებისა და საზოგადოებისთვის მთელი რიგი დადებითი შედეგები მოაქვს. მაგალითად:

- ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინოვაციებსა და ცვლილებებს;
- ხელს უწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობას, აძლიერებს მიკუთვნებულობის გრძნობასა და სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბებას;
- მხარს უჭერს ცხოვრების პირად, სამოქალაქო, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში დადებით და მიზანმიმართულ ტრანზიციებს, რაც, თავის მხრივ, სიცოცხლის ბოლომდე სწავლების, აქტიურ მოქალაქეობისა და სამუშაო ბაზარში ჩართულობისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს;
- ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კონფლიქტების მართვა, ციფრული და ინფორმაციული წიგნიერება და ლიდერობა;
- განამტკიცებს მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს თანასწორობას, მდგრად განვითარებას, კულტურათაშორისი ურთიერთგაგების პროცესს, სოციალურ ერთობას, სამოქალაქო ჩართულობას, დემოკრატიულ მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებების დაცვას.
- აძლიერებს ახალგაზრდების მედეგობას და ამგვარად მათ უნარს წინ აღუდგნენ უარყოფით გავლენებსა და ქცევებს.

ევროპაში არსებული გამოწვევებისა და იმ უარყოფითი გავლენის ფონზე, რომელსაც ეს გამოწვევები ახალგაზრდებზე არათანაბრად ახდენენ, ზემოთ აღნიშნული პოზიტიური შედეგები ხაზს უსვამს წევრი ქვეყნების მიერ ყველა ახალგაზრდისთვის ხარისხიან ახალგაზრდულ საქმიანობაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სასიცოცხლო მნიშვნელობას. უმოქმედობასთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა სავალალოც აღმოჩნდეს.

ახალგაზრდები საზოგადოებრივი და სამართლიანი ევროპის შესაქმნელად საკვანძო რესურსს წარმოადგენენ. თუ არსებული რთული სიტუაციის ფონზე იმედგაცრუებული და პასიური ახალგაზრდების „დაკარგული თაობა“ ჩამოყალიბდება, შედეგად საზოგადოებებიც სტაბილურობისა და სოციალური ერთობის გაქრობის დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდებიან. დღესდღეობით, ახალგაზრდების ადეკვატური მხარდაჭერა, მათ შორის მათთვის ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის შეთავაზებით, მნიშვნელოვანი ინვესტიციაა, რომელიც ევროპამ თავისი აწმყოსა და მომავლისთვის უნდა ჩადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების შესაძლებლობას, ასევე საფრთხე დაემუქრება სოციალურ ერთიანობას და გაქრება თანამედროვეობის იმ მთავარ გამოწვევებთან ეფექტურად გამკლავების შესაძლებლობა, როგორებიცაა: მიგრაცია, უმუშევრობა, სოციალური გარიყულობა და ძალადობრივი ექსტრემიზმი.

ბ. პრინციპები

როგორც ზემოთ მოცემული ტექსტის ინსტრუმენტებშია ასახული, აღნიშნული რეკომენდაცია ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულებებს, პრინციპებსა და სიკეთეებს ემყარება. ხოლო, მოხალისეობრივი და აქტიური მონაწილეობის

პრინციპები, თანაბარი ხელმისაწვდომობა, ღიაობა და მოქნილობა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც ახალგაზრდული საქმიანობის ჩამოყალიბებისთვის და შემდგომში მისი განხორციელებისთვის არის საჭირო. ამასთან, ახალგაზრდული საქმიანობა უნდა იყოს უფლებებზე დაფუძნებული, ინკლუზიური და ახალგაზრდებზე, მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული.

იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეობა ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავების, იმპლემენტაციისა და შეფასების პროცესებში ახალგაზრდები, ახალგაზრდული მუშაკები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციები აღიარებულნი უნდა იყვნენ, როგორც აქტიური პარტნიორები.

წევრ ქვეყნებს ეძლევათ მოწოდება, რეკომენდაციებისა და შემდგომი ღონისძიებების გატარების პროცესში უზრუნველყონ ზემოთ აღნიშნული ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობა.

გ. ღონისძიებები

იმ პოლიტიკის შექმნის პროცესში, რომელიც ყველა დონეზე უზრუნველყოფს და პროაქტიურად დაუჭერს მხარს ახალგაზრდული საქმიანობის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებას, წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ:

i. უზრუნველყონ, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე, ახალგაზრდული საქმიანობის როგორც უკვე დამკვიდრებული, ისე ინოვაციური პრაქტიკებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა (მათ შორის, მაგალითად: მდგრადი სტრუქტურები და რესურსები) და ამასთან ერთად გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო შესაძლებლობები და თანამშრომლობა ახალგაზრდული საქმიანობისთვის სარგებლის მომტანია;

ii. სექტორათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყონ ახალგაზრდული საქმიანობის როლისა და პოზიციის გაძლიერება- ახალგაზრდულ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საჯარო უწყებების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ და- სხვა სფეროებს შორის, მაგალითად: სოციალური დაცვა, ჯანდაცვა, სპორტი, კულტურა, ფორმალური განათლება, დასაქმების სერვისები და სისხლის სამართალი;

iii. მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ ახალგაზრდული საქმიანობის კოორდინაციის პროცესს ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეებს შორის და ამგვარად უზრუნველყონ ქსელების შექმნა, თანამშრომლობა, თანატოლგანმანათლებლობა და გაცვლები;

iv. ხელი შეუწყონ ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისას და მასში მონაწილეობის შედეგად ჩამოყალიბებული ღირებულებების, დამოკიდებულებების, ცოდნის, უნარებისა და კრიტიკული აზროვნების აღიარებას;

v. უზრუნველყონ ახალგაზრდულ საქმიანობაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა;

vi. შემდეგი გზებით გააძლიერონ ახალგაზრდული საქმიანობის როლი:

- უფლებების, შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების გზით;
- ყველა ახალგაზრდას შორის განსაკუთრებით კი, რისკის ქვეშ მყოფი და მარგინალიზებული ახალგაზრდების შემთხვევაში აქტიური მოქალაქეობის პრინციპის, მონაწილეობისა და სოციალური ინკლუზიის განმტკიცების გზით;

- ახალგაზრდებს შორის კულტურათაშორისი კომპეტენციების, ევროპული იდენტობისა და ინტერნაციონალური აზროვნების გაფართოების გზით;
- თავიანთ საცხოვრებელ გარემოში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (მგმ-SDG) პროგრესულად დანერგვისკენ ახალგაზრდების წახალისების გზით;
- დისკრიმინაციის, შეუწყნარებლობისა და სოციალური გარიყვის აღმოფხვრისა და პრევენციის გზით;
- არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლების განმტკიცების გზით;

vii. პატივი სცენ ახალგაზრდული და სხვა, ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების თავისუფლებასა და ავტონომიურობას;

viii. ხელი შეუწყონ ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას, რომელიც შეძლებს რეაგირება მოახდინოს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე, ტენდენციებსა და ახალგაზრდების წინაში არსებულ გამოწვევებზე;

ix. ცოდნაზე დაფუძნებული და ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების პროცესში ხელი შეუწყონ კვლევითი საქმიანობის, შეფასებისა და უწყვეტი კონტროლის მეთოდების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს შედეგებისა და გავლენის საზომი მექანიზმების არსებობას.

ანაზღაურების მქონე და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგის ადეკვატური, მოქნილი და კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შემდეგი რეკომენდაციები ეძლევათ:

i. ახალგაზრდულ მუშაკებში ძირითადი კომპეტენციების (მაგალითად: ღირებულებები, დამოკიდებულები, უნარები, ცოდნა და კრიტიკული აზროვნება) განვითარების მიზნით, უზრუნველყონ ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი მუშაობა;

ii. ახალგაზრდული მუშაკების განათლებისთვის, ტრენინგისთვის, ინსტიტუციური გაძლიერებისა და პროფესიული განვითარებისთვის, წინასწარ შეთანხმებულ კომპეტენციებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბონ საჭირო ჩარჩოები, სტრატეგიები, პროგრამები და გზები;

iii. შეიმუშაონ ახალი ან განავითარონ დოკუმენტაციით უზრუნველყოფის, ვალიდაციის, სერტიფიცირებისა და იმ კომპეტენციების აღიარების უკვე არსებული მექანიზმები, რომელსაც ანაზღაურების მქონე და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკები პრაქტიკაში ივითარებენ;

iv. გაზარდონ მხარდაჭერა იმ, როგორც არსებული, ისე სამომავლო ევროპული ჩარჩო დოკუმენტებისა და დღის წესრიგების იმპლემენტაციის პროცესის მიმართ, რომლებიც ფორმალურ და ფორმალურს გარე სწავლების აღიარებას ეხება.

განმარტებითი მემორანდუმი

I. შესავალი

1.მოცემულ რეკომენდაციას ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, რაც ევროპული თანამშრომლობის მეშვეობით ხორციელდება. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორი საკვანძო როლს ასრულებს ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობაში, ეს ყველაფერი კი მთავრობათაშორისი თანამშრომლობის, ევროპული ახალგაზრდული ცენტრების საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამების ფარგლებში არსებული თანამენეჯმენტის აქტივობების, ევროპის ახალგაზრდული ფონდის, ასევე ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდულ სფეროში არსებული პარტნიორობის მეშვეობით ხორციელდება; ,,დღის წესრიგი 2020"-მა ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორისთვის[1] რამდენიმე პრიორიტეტი და სამუშაო პროგრამა გამოყო, მაგალითად: წევრ ქვეყნებში ახალგაზრდული პოლიტიკის მიმოხილვა/გადასინჯვა; ადამიანის უფლებათა სწავლება და ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ქარტიის შემუშავება. ამ და სხვა აქტივობების მეშვეობით, ევროპის საბჭომ შეძლო და თანამედროვე ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელოვანი როლ(ებ)ის შესახებ მტკიცე მოსაზრება ჩამოაყალიბა.

2. 2015 წლის აპრილში, ქალაქ ბრიუსელში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბელგიის თავმჯდომარეობის ფარგლებში[2], ახალგაზრდული საქმიანობის რიგით მეორე ევროპული ყრილობა გაიმართა. აღნიშნული ყრილობის დასკვნითი დეკლარაცია, 2008 წელს დაწყებული ეკონომიკური „კრიზისისა" და როგორც დამკვიდრებული, ისე ინოვაციური ახალგაზრდული საქმიანობის დაფინანსებაზე მის შედეგად დაწესებული ,,ქამრების შემოჭერის" პოლიტიკის საპასუხოდ, ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკისთვის ახალი ბიძგის მიცემას ისახავდა მიზნად. ყრილობის შემდეგ, ახალგაზრდულ საკითხთა ერთობლივი საბჭო ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის პირველი რეკომენდაციის შემუშავებაზე შეთანხმდა.

3. ევროპისთვის ახალგაზრდები საკვანძო რესურსს წარმოადგენენ, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი და სავარაუდოდ მზარდი ნაწილი აშკარა, მრავალმხრივი და გრძელვადიანი გამოწვევების წინაშე დგას. ავტონომიურობისა და „ცხოვრების მენეჯმენტის" შესაძლებლობების განსამტკიცებლად ყველა მათგანი გარკვეულ მხარდაჭერას საჭიროებს. ამჟამად, ბევრი ახალგაზრდა სარგებლობს იმ შესაძლებლობებით, რომლებიც მათ ახალი ტექნოლოგიების, ციფრული მედიის, ფართო საგანმანათლებლო პერსპექტივების, ინფორმაციასა და მობილურობაზე წვდომის საშუალებით ეძლევათ. თუმცა, ამავე დროს, ისინი იმ რისკებისა და გაურკვევლობის წინაშე დგანან, რომლებიც კვალიფიკაციის გაუფასურებას, უმუშევრობას, არასაიმედო სამუშაო პირობებს, კონფლიქტებს, ომს, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, ჭარბ ინფორმაციას, სასესხო ვალდებულებასა და სიღარიბეს, სოციალურ უთანასწორობას, გარიყულობას და ადეკვატური საცხოვრებელი პირობების არარსებობას უკავშირდება.

[1] ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საქმიანობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა რიგით მე-8 კონფერენცია (2008), „ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის მომავალი: დღის წესრიგი 2020".

[2] ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ რიგით მეორე ევროპული ყრილობა: მსგავსებები განსხვავებების მსოფლიოში (2015).

გარკვეულ სფეროებში მოხდა პარალელური ცვლილებები, კერძოდ: სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობა, სკოლის ადრეულად დატოვების მასშტაბები, თაობათაშორისი ურთიერთობები, მომჭირნეობისა და მიგრაციის გაუთვალისწინებელი შედეგები და ექსტრემისტული ხედვების, ზოგ შემთხვევაში ქცევების მზარდი ტენდენცია[3]. ახალგაზრდულ საქმიანობას მრავალი ფორმით შეუძლია ახალგაზრდების მხარდაჭერაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, რათა მათ ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებთან შეძლონ გამკლავება. ამასთან, ახალგაზრდული საქმიანობა საკვანძო როლს ასრულებს ახალგაზრდებთან ერთად თანამედროვე სოციალური პრობლემების გადაჭრაზე მუშაობისა და საზოგადოებრივი და სამართლიანი ევროპის მშენებლობის პროცესებში.[4]

4.მოცემული განმარტებითი მემორანდუმი ახალგაზრდულ საქმიანობაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესახებ წინარე ინფორმაციას მოიცავს. იგი ასახავს ამ რეკომენდაციის საჭიროებასა და იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრასაც იგი ცდილობს. მემორანდუმი ხაზს უსვამს უმოქმედობასთან დაკავშირებულ რისკებს და აქცენტს აკეთებს ახალგაზრდული საქმიანობის იმ პოზიტიურ გავლენასა და ცენტრალურ როლზე, რომელიც მას სოციალური გარიყულობის პრევენციასა და აღმოფხვრაში, დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების წახალისებაში შეიძლება ჰქონდეს. ამასთან, იგი აღწერს დოკუმენტის შემუშავების პროცესს და აქცენტს აკეთებს ამ პროცესში გამოყენებულ ინკლუზიურ მიდგომაზე. და ბოლოს, მასში მოცემულია რეკომენდაციის სხვადასხვა კომპონენტის საფუძველი და ღონისძიებების სრული სპექტრის იმპლემენტაციისთვის წევრი ქვეყნებისთვის საჭირო რჩევები.

II. შემუშავების პროცესი

5.სამდივნოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ახალგაზრდობის ერთობლივი საბჭო (CMJ) ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისადმი გაცემული რეკომენდაციის შემუშავებაზე შეთანხმდა. 2015 წლის დეკემბერში, ახალგაზრდულ სადამკვირვებლო კომიტეტთან (CDEJ) და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს (CCJ) წევრებთან გამართული დისკუსიების შემდეგ ორგანიზებულ იქნა საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა, რომელიც რეკომენდაციის სამუშაო ვერსიის დამატებით მნიშვნელობას, მის მიზანს, შინაარსსა და მეთოდოლოგიას შეეხო. 2016 წლის დასაწყისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ახალგაზრდული სადამკვირვებლო კომიტეტის (CDEJ) 4 წევრი, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს (CCJ) 3 წევრი, ევროპული ახალგაზრდული ფორუმის (YFJ) 1 წარმომადგენელი, ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების 6 წარმომადგენელი (აქედან, 2 მათგანი მუშაობდა ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეზე, 2-ევროპულ დონეზე, ხოლო 2 მათგანი წარმოდგენილი იყო ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის: „Youth in Action"-ის ნაციონალური სააგენტოების ქსელიდან), ევროპის ახალგაზრდული საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტოს (ERYICA) 1 წარმომადგენელი და ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ მეორე ევროპული ყრილობის მთავარი რაპორტერი. აღსანიშნავია, ევროკომისიის ახალგაზრდული პოლიტიკის განყოფილების მნიშვნელოვანი წვლილიც, რომელიც დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობდა.

6. სამუშაო ჯგუფი ახალგაზრდობის ერთობლივ საბჭოს (CMJ) რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას რეკომენდაციის შემუშავების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ, ამავე დროს ახალგაზრდობის ერთობლივი საბჭოს (CMJ) რამდენიმე წარმომადგენლის

[3]ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია: „United around our principles against violent extremism and radicalisation leading to terrorism", 19 მაისი 2015 წელი.

[4] ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ რიგით მეორე ევროპული ყრილობა: მსგავსებები განსხვავებების მსოფლიოში (2015)

მხრიდან სამუშაო ჯგუფმა სასარგებლო უკუკავშირი და რჩევაც მიიღო. რეკომენდაციის სამუშაო ვერსიის შინაარსთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფმა, სამდივნოს დახმარებით კონსულტაციები გამართა ევროპის საბჭოს რამდენიმე ორგანოსა და სფეროში მოღვაწე დაინტერესებულ მხარესთან, რის შემდეგაც პოზიტიური რეაგირება მოახდინა მიღებულ რჩევებსა და ხარვეზებზე და ამის შესაბამისად მიიღო რეკომენდაცია.

III. ახალგაზრდულ საქმიანობაზე რეკომენდაციის საჭიროების მიზეზები

რატომ ახალგაზრდული საქმიანობა?

7.ევროპას ისევე სჭირდება ახალგაზრდები, როგორც ახალგაზრდებს სჭირდებათ ევროპა. ახალგაზრდები აქტიურად შეიტანენ წვლილს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაში, თუმცა იმისთვის, რომ მათ ეს დაკისრებული ვალდებულება წარმატებით შეასრულონ, წევრმა ქვეყნებმა უნდა შექმნან ახალგაზრდების განვითარებისთვის საჭირო პირობები, შესაძლებლობები და გამოცდილება. ტრივიალურად შეიძლება ჟღერდეს, მაგრამ ახალგაზრდები უნდა განიხილებოდნენ, როგორც კეთილდღეობისთვის საჭირო ძალა და არა როგორც გადასაჭრელი პრობლემა. სწორედ ამ მიზნით, „პრობლემაზე ორიენტირებული“ მიდგომის ნაცვლად, ევროპის საბჭო ერთგულია „შესაძლებლობებზე ორიენტირებული“ მიდგომის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს და აფართოებს ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობას, ანიჭებს მათ საზოგადოების საქმიანობაში სრულყოფილად მონაწილეობის უფლებებსა და შესაძლებლობებს და ამავე დროს, მხარს უჭერს ახალგაზრდების ინდივიდუალური პოტენციალისა და შესაძლებლობების რეალიზებას, რათა მათ ხელი შეუწყონ პოზიტიურ სოციალურ ცვლილებებს.

8. ახალგაზრდების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები მუდმივად იმაზე მიუთითებს, რომ მათთვის ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა (მაგალითად: სკოლიდან დასაქმების ბაზარზე, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის ეტაპებზე) ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა.[5]

ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა უფრო მეტად ხასიათდება გაურკვევლობით, საჭიროებს უფრო მეტ დროს და ამავე დროს აღარ არის სწორხაზოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შემდეგ, გარკვეულ შემთხვევებში, ახალგაზრდები კვლავ უბრუნდებიან თავიანთი მშობლების სახლს, ან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევამდე თავადვე ხდებიან მშობლები.

9. რა თქმა უნდა, თანამედროვე საზოგადოებები ახალგაზრდებს, როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ რეალობაში წარმოდგენილ ბევრ ახალ შესაძლებლობას სთავაზობენ, თუმცა ამ შესაძლებლობების კვალდაკვალ, ისინი ახალი რისკებისა და გამოწვევების წინაშე დგებიან. ამასთან, თანამედროვე ევროპაში, როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნების შიგნით, აღნიშნული რისკები არათანაბრად ნაწილდება და რთული გარემოებების მქონე ახალგაზრდებთან ერთად, იგი სულ უფრო და უფრო მეტად ეხება იმ ახალგაზრდებსაც, რომლებსაც ადრე ნათელი პერსპექტივის მქონე „ჩვეულებრივ ბავშვებად“ ახასიათებდნენ. სავარაუდოდ, ევროპელი ახალგაზრდების დიდი ნაწილის წინაშე არსებული სამომავლო პერსპექტივები არამდგრადობით, არასაიმედოობითა და გაურკვევლობით ხასიათდება, ეს იმითაც დადასტურდა, რომ 2012 წელს ევროპის საბჭოს

[5]მაგალითისთვის იხ. Furlong A. and Cartmel F. (1997), Young people and social change: *individualization and risk in late modernity*, Open University Press, Buckingham; Helve H. and Evans K. (eds) (2013), *Youth and work transitions in changing social landscapes*, Tufnell Press, London; Woodman D. and Wyn J. (2015), *Youth and generation: rethinking change and inequality in the lives of young people,* SAGE Publications, London.

საპარლამენტო ასამბლეაზე გამართულ დებატებზე ახალგაზრდობას- „მსხვერპლად შეწირული თაობა“ უწოდეს.[6]

10. თავიანთი პოტენციალის რეალიზებისთვის, ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე წარმატებული ტრანზიციისა და პირად, სამოქალაქო, და სამუშაო ცხოვრების სფეროებზე ეტაპობრივი პასუხისმგელობის ასაღებად, ახალგაზრდები იმ გამოცდილებებისა და შესაძლებლობისგან სარგებლის მთელი „პაკეტის“ მიღებას საჭიროებენ, რომელიც მათ ოჯახურ ცხოვრებაში, სასწავლო გარემოსა და თავისუფალი დროის ნაწილშია წარმოდგენილი. ზოგიერთი ახალგაზრდა მისთვის სასურველ შესაძლებლობებზე წვდომას ოჯახის მხარდაჭერის, საკუთარი მიზანდასახულობისა და პირადი მოტივაციის წყალობით ახერხებს, თუმცა ბევრ ახალგაზრდას მსგავს სიკეთეებზე წვდომის ფუფუნება არ გააჩნია, შესაბამისად მათ აღნიშნული მხარდაჭერა სხვა მხრიდან უნდა მიიღონ- საჯარო უწყებებისგან, განსაკუთრებით რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, ასევე ამ მიზნით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და დამოუკიდებელი სააგენტოებისგან.

11. ზემოთ აღნიშნული პაკეტი ფორმალური სასკოლო განათლების გარდა მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობების მთელ სპექტრს: მობილობა და გაცვლითი პროგრამები; რჩევა და ინფორმაცია; კონსულტირება, წინამძღოლობა და წვრთნა-სწავლება („ქოუჩინგი“); ახალი ტექნოლოგიებითა და სოციალური მედიით სარგებლობა; სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობა. ფაქტობრივად, ეს ის „შემოთავაზებაა“, რომელიც 21-ე საუკუნის ახალგაზრდებს ამა თუ იმ ფორმით სჭირდებათ, თუკი ისინი ზრდასრული ცხოვრების ეტაპზე ეფექტურად გადასვლას, სამოქალაქო საზოგადოებაში და შრომის ბაზარზე აქტიურ მონაწილეობას დააპირებენ.

12. ახალგაზრდული საქმიანობა ზემოთ აღნიშნული მოზაიკის ერთ-ერთი ელემენტია. ახალგაზრდები ფორმალურ განათლებას სხვადასხვა გზებით იღებენ, მაგრამ მათი სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილება, განსაკუთრებით კი ე.წ „ცხოვრებისეული უნარების“ შეძენა (როგორიცაა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, პრობლემების გადაჭრა და გადაწვეტილებების მიღება) ხშირად მხოლოდ ახალგაზრდული საქმიანობის მეშვეობით არის შესაძლებელი; საკუთრივ კი- წინასწარ ორგანიზებული და მიზანმიმართული კლასგარეშე სწავლებით, რომელიც „არაფორმალური სწავლების“ იდეასთან არის დაკავშირებული.

13. ახალგაზრდული საქმიანობის ბევრი ფორმა არსებობს. ხშირად აღინიშნება მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება, მოქნილობა და რეაგირების უნარი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების განსხვავებულ და ცვალებად გარემოებებთან და მისწრაფებებთან, ასევე მათ წინაშე არსებულ ან მათ მიერ შექმნილ ახალ სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებთან მიმართებაში. თუმცა, ახალგაზრდული საქმიანობის ამ მრავალფეროვნებას, დაწყებული ზრდასრულთა მიერ მართული ახალგაზრდული პროექტებით, კლუბებითა და პროგრამებით, დამთავრებული თავად ახალგაზრდების მიერ მართული ავტონომიური ახალგაზრდული ორგანიზაციებით, საერთო საფუძველი გააჩნია[7]: ახალგაზრდების სივრცით უზრუნველყოფის მისწრაფება (ფორუმი ახალგაზრდებისთვის „იყავი ახალგაზრდა“,“Be young”) და ახალგაზრდების პერსონალური განვითარების მხარდასაჭერად ვალდებულების თანადროულად აღება (პლაცდარმი ახალგაზრდებისთვის „გახდი ზრდასრული“ „Become adult”). ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდებს იმ უნარებისა და მოტივაციის განვითარებაში ეხმარება, რომლებიც მათ ცხოვრების პროდუქტიული გზების პოვნასა და გავლაში სჭირდებათ. ამგვარად, ახალგაზრდული საქმიანობა ფორმალური

[6] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის PACE რეზოლუცია 1885 (2012), „მსხვერპლად შეწირული ახალგაზრდა თაობა: ფინანსური კრიზისის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები“.

[7] Williamson H. (2015), “Finding common ground: Mapping and scanning the horizons for European youth work in the 21st century – Towards the 2nd European Youth Work Convention”, Council of Europe Publishing, Strasbourg

განათლების აუცილებელი, დამატებითი ნაწილია, რომელზეც წვდომის უფლებაც ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს.

რატომ ახლა?

14. ამ რეკომენდაციის ამოცანები ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის რამდენიმე საკვანძო პრიორიტეტს პასუხობს, მაგალითად: ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებისა და გაძლიერების მიზნით წევრი ქვეყნების წახალისება. ამასთან, რეკომენდაცია მოიცავს კონკრეტულ წინადადებებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორისთვის, რათა მათ წევრ ქვეყნებს ამ ამოცანის შესრულებაში დაუჭირონ მხარი და მაქსიმალურად გამოიყენონ ის დადებითი წვლილი, რომლის შეტანაც ახალგაზრდულ საქმიანობას ევროპის მომავალში შეუძლია, კერძოდ კი თანამშრომლობის, ერთობლივი ქმედებებისა და თანატოლგანმანათლებლობის გზებით.

15. ახალგაზრდებს სულ უფრო და უფრო არაპროგნოზირებად სამყაროში მათთვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღება უწევთ, ხოლო ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის შემუშავება და მისი განხორციელება მეტად არაერთგვაროვანია. მაშინ როდესაც ზოგიერთი ქვეყანა თავის თავზე იღებს ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკის, პრაქტიკისა და ტრენინგის ვალდებულებებს, სხვა ქვეყნები ამგვარ პასუხისმგებლობებს χერχერობით არ კისრულობენ ან უარეს შემთხვევაში, მკაცრი ეკონომიის პირობებში ახალგაზრდულ საქმიანობაზე სახელმწიფო დაფინანსებას ამცირებენ. შედეგად, ახალგაზრდულ საქმიანობაზე, მისგან მიღებულ გამოცდილებებსა და სწავლების ჩარჩოებზე წვდომა შეიძლება ცვალებადი და ზოგχერ არათანაბარიც აღმოჩნდეს; ევროპის მასშტაბით ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, სასწრაფოდ საჭიროა ზოგიერთი აქტორის მხრიდან არსებითი ვალდებულების აღება.

16. პროგრესისთვის χერ კიდევ დიდი სივრცეა. მოცემული რეკომენდაციის დამატებითი ღირებულებაზე ერთ-ერთი საკვანძო მოსაზრების მიხედვით, იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდული საქმიანობის არსის გააზრებას, მის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მისდამი ვალდებულების გრძნობის გაძლიერებას. ამასთან, იგი ითვალისწინებს იმას, რომ ახალგაზრდული საქმიანობა 21-ე საუკუნეში ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნის მიღების მთავარ განზომილებას წარმოადგენს და რომ იგი, დღესდღეობით, ახალგაზრდებისა და ევროპის წინაშე არსებული აქტუალური გამოწვევების დაძლევაში მთავარი პარტნიორი და წვლილის შემტანია. იქ სადაც ახალგაზრდული საქმიანობა უკეთაა გააზრებული, ასევე დაფასებულია მისი წვლილი ახალგაზრდების პერსონალური განვითარების, ცხოვრების ხარისხის გაუმχობესებისა და მათი სოციალური და პოლიტიკური მისწრაფებების ქმედითუნარიანობის გაღრმავებასა და გაფართოებაში.

IV. ახალგაზრდული საქმიანობის ხედვა ევროპაში

17. ზემოთ განმარტებულია ამ რეკომენდაციის საჭიროება. აქცენტი გაკეთებულია ახალგაზრდული საქმიანობის იმ მნიშვნელოვან და შეუცვლელ წვლილზე, რომელიც მას ინდივიდუალურ ცხოვრებასა და სოციალურ ერთობაში შეაქვს. რეკომენდაცია ევროპაში საერთო ხედვის მქონე ახალგაზრდული საქმიანობის ამბიციურ დღის წესრიგს წარმოადგენს. ამასთან, იგი პოლიტიკოსებისა და პრაქტიკოსების მისამართით მტკიცე გზავნილს შეიცავს და მათ ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის განახლებისა და მისი მხარდაჭერის გაგრძელებისკენ მოუწოდებს. მასში ასევე აღიარებულია ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმულირებაში შეაქვს.

18. ხედვა ხაზს უსვამს იმას, რომ ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების

წარმოსახვის უნარის, ინიციატივის, ინტეგრაციის, ჩართულობისა და მისწრაფებების განვითარებას გულისხმობს. იგი არის უფლებამოსილების მიმნიჭებელი, საგანმანათლებლო, მონაწილეობრივი, გამომხატველობითი და ინკლუზიური ხასიათის. ახალგაზრდული საქმიანობა მთელი რიგი აქტივობების მეშვეობით საზოგადოებების ცხოვრებაში ახალგაზრდების კრიტიკული ფორმით ჩართვას უწყობს ხელს, მათ შორის: თამაში და გართობა, არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლება, კამპანიების წარმოება, ინფორმაციის გაცვლა და ხელმძღვანელობა, მობილობა, მოხალისეობა, ასოციაციები და საუბრები. ამასთან, ახალგაზრდული საქმიანობა ეხმარება ახალგაზრდებს აღმოაჩინონ თავიანთი ნიჭი, განივითარონ სხვადასხვა უნარები და შესაძლებლობები, რათა მათ სულ უფრო რთულ და გამოწვევებით სავსე სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ გარემოში ნავიგაციის შესაძლებლობა მიეცეთ.

19. ახალგაზრდული საქმიანობა მხარს უჭერს და ბიძგს აძლევს ახალგაზრდებს ახალი გამოცდილებებისა და შესაძლებლობების აღმოჩენაში; იგი ასევე ეხმარება მათ გააცნობიერონ და მართონ, როგორც მათ წინაშე ამჟამად არსებული უამრავი რისკ ფაქტორი, ისე მომავლის საფრთხეებიც. ეს, თავის მხრივ, წარმოშობს უფრო კომპლექსურ და პოზიტიურ მიჯაჭვულობას თავიანთი იდენტობის, მომავლისა და საზოგადოების მიმართ, რაც მიზანმიმართულად უწყობს ხელს ამჟამინდელ და ფართო, პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრას: „NEET“ (განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი) ახალგაზრდები, ჯანმრთელობისთვის სარისკო ცხოვრების წესი, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნაკლებობა და ძალადობრივი ექსტრემიზმი. ახალგაზრდული საქმიანობა გულისხმობს ახალგაზრდების ჩართულობას, მათი პირობების, მათ მიერ გაცხადებული და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად და ხორციელდება, როგორც ახალგაზრდების მიერ მოწყობილ ან სპეციალურად ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნილ სივრცეებში, ასევე სხვა გარემო პირობებშიც (მაგ. სკოლებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში), ამასთან მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითი ხასიათის უნდა იყოს.

20. მოცემული რეკომენდაცია მოუწოდებს წევრ ქვეყნებს სტრატეგიული მიდგომითა და ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკაში განხორციელებისთვის საჭირო საკვანძო პრინციპებზე დაყრდნობით, პროაქტიურად დაუჭირონ მხარი მის განვითარებას. რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს მოუწოდებს თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, შექმნან ისეთი პირობები, რომელშიც ყველა ახალგაზრდას, მიუხედავად მათი წარმოშობისა, სქესისა თუ ადგილმდებარეობისა, თანაბრად ექნება ახალგაზრდული საქმიანობისგან დადებითი გამოცდილების მიღების, სამოქალაქო დიალოგსა და მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები.[8]

V. რას მოიცავს რეკომენდაცია?

21. წინასიტყვაობის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს რეკომენდაციის საფუძველს და გამოყოფს რამდენიმე რელევანტურ ინსტრუმენტს, წევრი ქვეყნების მთავრობებს ჯამში 9 რეკომენდაცია ეძლევათ. დანართში მოცემულია რეკომენდაციის მიზანი და ფარგლები, ახალგაზრდული საქმიანობის განსაზღვრება, ფარგლები და მისი საყრდენი პრინციპები და წევრი ქვეყნებისადმი გაცემული იმ რიგი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც მათ თავიანთ ქვეყნებში არსებული სიტუაციის ანალიზისა და ახალი ზომების მიღებისას უნდა განიხილონ. ასევე, რეკომენდაციაში გამოყოფილია ის პრიორიტეტული სფეროები, სადაც ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით შესაბამისი ქმედების განხორციელებაა საჭირო.

22. რეკომენდაცია განსაზღვრავს ხედვას, რომლის მიხედვითაც ევროპაში ყველა

[8] მაგალითისთვის იხ. ევროპის საბჭოს 2014-2017 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია.

ახალგაზრდას შეუძლია ახალგაზრდული საქმიანობის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობებისა და გამოცდილებისგან სარგებლის მიღება. წევრ ქვეყნებს ეძლევათ მოწოდება სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ, დაგეგმონ კოორდინირებული ქმედება. ამასთან, რეკომენდაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს (იქ სადაც, ამ ეტაპზე ისინი არ არსებობს):

- სამართლებრივ და პოლიტიკურ მხარდაჭერას;
- მდგრად დაფინანსებასა და სტრუქტურებს;
- გაუმჯობესებულ კოორდინაციას, როგორც სექტორების მასშტაბით, ისე ადგილობრივ და ეროვნულ დონეებს შორის;
- ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგისთვის კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩარჩოს არსებობას;
- ახალგაზრდული საქმიანობის შედეგებისა და გავლენის მიმოხილვის და შეფასების შესაბამისი ფორმების არსებობას;

23. წევრ ქვეყნებს მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორს, დაინტერესებული მხარეებით დაკომპლექტებული, მაღალი დონის სამუშაო ჯგუფის მოწვევაში, რომელიც შემდგომში, ევროპაში ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერისა და კოორდინაციისთვის საჭირო სტრატეგიას შეიმუშავებს. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს მაქსიმალურად გაზარდოს თანამშრომლობისა და თანატოლგანმანათლებლობის შესაძლებლობები. ასევე, არსებულ სტრუქტურებზე დაყრდნობით, სტრატეგიის მთავარი მიზანი ევროპაში ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება და მათ შესახებ ინფორმირება იქნება.

24. 9 რეკომენდაციისა და დანართში მოცემული ღონისძიებების გატარებისას, წევრ ქვეყნებს მტკიცედ მოუწოდებენ ისარგებლონ ინკლუზიური, კოორდინირებული და ორიენტირებული მიდგომით. ახალგაზრდები, ახალგაზრდული მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაერთონ იმ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას. ამასთან, წევრ ქვეყნებს ეძლევათ შეხსენება იმ ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდული საქმიანობის შემუშავებისა და განხორციელების პროცესები. კერძოდ: თანაბარი ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის არარსებობა; მოხალისეობრივი და აქტიური მონაწილეობა; ღიაობა; მოქნილობა; ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელება უფლებებზე დაფუძნებული და უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებზე ორიენტირებული მიდგომით;

25. წევრი ქვეყნების მიერ გასათვალისწინებელი სპეციფიკური ღონისძიებები დაკავშირებულია ორ არსებით რეკომენდაციასთან და მოიცავს:

ა. ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს და პროაქტიურად დაუჭერს მხარს ახალგაზრდული საქმიანობის დაფუძნებასა და მის შემდგომ განვითარებას ყველა დონეზე;

ბ. ანაზღაურების მქონე და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგისთვის თანმიმდევრული, მოქნილი და კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩარჩოს შემუშავებას;

აღნიშნული რეკომენდაციების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს და პროაქტიურად დაუჭერს მხარს ახალგაზრდული საქმიანობის დაფუძნებასა და მის შემდგომ განვითარებას ყველა დონეზე

26. თუკი ახალგაზრდული საქმიანობის „ისტორიულ“ ევოლუციას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ იგი ბევრი სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მაშინ როდესაც ზოგიერთმა ქვეყანამ შეძლო ახალგაზრდული საქმიანობისთვის მტკიცე სტრუქტურის, როგორც შექმნა ისე შენარჩუნება, სხვა ქვეყნები ან მნიშვნელოვანი ფინანსური შეზღუდვების წინაშე დგანან ან ჯერჯერობით ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისა და დამკვიდრების ეტაპზე იმყოფებიან.[9] მსგავსი სხვაობები დასანანია; რიგი კვლევების შედეგებმა ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობა და ის სიკეთეები დაადასტურა, რაც მას, როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის, მოაქვს.[10] ევროპულ დონეზე მიღწეულია კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობა და მისი შედეგები პოლიტიკურ და მატერიალურ ინვესტიციას ამართლებს; მიუხედავად ამისა, რიგ დონეებზე: ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე არსებული სიტუაცია ჯერ კიდევ საკამათოა, ხოლო ახალგაზრდული საქმიანობის კუთხით ახალგაზრდებისადმი არსებული მხარდაჭერა კვლავ არაერთგვაროვანი და არათანაბარი რჩება.

27. შემოთავაზებული ღონისძიებების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ევროპაში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მიუხედავად იმისა თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრებენ; იგი ახალგაზრდებს ზრდასრული ცხოვრების ეტაპზე გადასვლასა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებაში დაეხმარება. ასევე, თავის წვლილს შეიტანს დემოკრატიული ღირებულებებისა და სოციალური ერთიანობის წახალისებასა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში. გარდა ამისა, საგანმანათლებლო მიღწევების, დასაქმებისა და მეწარმეობის გაძლიერების გზით, ახალგაზრდულ საქმიანობას თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ განვითარებაში.

28. როდესაც წევრი ქვეყნები აღნიშნული ღონისძიებების იმპლემენტაციისთვის გზების ძიებას დაიწყებენ, მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამართლებრივი და პროგრამული ჩარჩოს (უკვე არსებულ) განსაზღვრებასა და ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ეროვნულ სტრატეგიას. სტრატეგია თავის თავში უნდა მოიცავდეს: საჭიროებების შეფასებას, კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს, ასევე ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებსა და მასთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმას (პროგრესის ინდიკატორებთან ერთად), სამიზნე ჯგუფ(ებ)ს თავისი ასაკობრივი ზღვრებით, მოსახლეობის კონკრეტული ნაწილის (უმცირესობები და მოწყვლადი ჯგუფები) შესახებ დეტალებსა და ბიუჯეტთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

29. ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკის იმპლემენტაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

- როგორც ახალგაზრდების, ისე სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მნიშვნელობა;

[9] იხ. ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდულ სფეროში პარტნიორობა (ახალგაზრდული პარტნიორობა), ხუთტომიანი სერია თემაზე ,,ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის ისტორია”, http://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership, ნანახია 2017 წლის 28 ივლისს.

[10] მაგალითისთვის იხ. ევროკომისია (2014), ,,ახალგაზრდებთან მუშაობა: ევროკავშირში ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობა”, ბრიუსელი.

- ცოდნა-კვლევა, გამოცდილება და პრაქტიკა;
- დუალური მიდგომის მნიშვნელობა- ახალგაზრდულ სფეროში კონკრეტული ქმედებების განხორციელება და, ახალგაზრდების „მეინსტრიმინგი“, პოლიტიკის სხვა სფეროებთან სექტორათაშორისი თანამშრომლობის დანერგვით;
- სუბსიდიარულობა- ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე არსებული საჯარო მომსახურების სერვისების საშუალებით, ახალგაზრდული საქმიანობისთვის მდგრადი სტრუქტურების შექმნა.

ასევე, მნიშვნელოვანი იმის გათვითცნობიერება, რომ ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ, როგორც საჯარო და კერძო სექტორში არსებულ პროვაიდერებს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას.[11]

30. წარსულში, როგორც ევროპის საბჭომ, ისე ევროკავშირის საბჭომ რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილება მიიღეს და მხარი დაუჭირეს ევროპაში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ევროპულ ინიციატივებს.[12] მსგავსი ევროპული სტრატეგიებისა და ღონისძიებების მდგრადობისა და გავლენის ფონზე, ამ ორ ინსტიტუტს შორის ახალგაზრდულ სფეროში თანამშრომლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდულ სფეროში არსებული პარტნიორობა გაძლიერდა და განვითარდა თანამშრომლობა, რაც თავის მხრივ ამ ორი ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ, ახალგაზრდებზე ორიენტირებულ აქტივობებს შორის სინერგიის შექმნას უწყობს ხელს. პარტნიორობის არსებული შეთანხმების კონკრეტული საკითხებია: მონაწილეობა/მოქალაქეობა, სოციალური ინკლუზია, ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი და მისი აღიარება.[13]

ანაზღაურების მქონე და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგისთვის თანმიმდევრული, მოქნილი და კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩარჩოს შემუშავება

31. როგორც განმარტებით მემორანდუმშია აღნიშნული, ახალგაზრდული საქმიანობის ერთ-ერთი ძლიერი მხარე კონცეფციების, აქტორების, ფორმატებისა და აქტივობების სპექტრის მრავალფეროვნებაა. თუმცა იმისთვის, რომ ახალგაზრდულმა საქმიანობამ მაქსიმალურად შეძლოს თავისი წვლილის შეტანა, ევროპაში ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის საერთო არსი უფრო მკაფიოდ

[11] იმპლემენტაციის პროცესში დახმარებისთვის რამდენიმე რესურსი არსებობს. მაგალითად: European Commission (2014), op. cit.; and the 2nd European Youth Work Convention: Similarities in a World of Difference (2015)

[12] The 8th Council of Europe Conference of Ministers responsible for Youth (2008), “The future of the Council of Europe youth policy: Agenda 2020; Recommendation CM/Rec(2015)3 of the Committee of Ministers to member States on the access of young people from disadvantaged neighbourhoods to social rights; Recommendation CM/Rec(2016)7 of the Committee of Ministers to member States on young people’s access to rights; Council Resolution of 27 November 2009 on a renewed framework for European co-operation in the youth field (2010-2018) (2009/C 311/01); Resolution of the Council on youth work (2010/C 327/01); Council conclusions of 14 June 2013 on the contribution of quality youth work to the development, well-being and social inclusion of young people (2013/C 168/03); Conclusions of the Council on promoting new approaches in youth work to uncover and develop the potential of young people (2016/C 467/03).

[13] ახალგაზრდული პარტნიორობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: http://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership

უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გააზრებული. როგორც ევროპის საბჭოს „დღის წესრიგი 2020-ის“, ისე ე.წ „სტრასბურგის პროცესის“ მიხედვით, ახალგაზრდული საქმიანობის აღიარება, ასევე არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლება პრიორიტეტული ხასიათისაა.[14] აღნიშნული დღის წესრიგის იმპლემენტაციის პროცესში წევრ ქვეყნებს მხარდაჭერის გაზრდისკენ მოუწოდებენ. უფრო ფართომასშტაბიანი „ახალგაზრდული პოლიტიკის“ კონტექსტში სახეზეა ახალგაზრდული საქმიანობისადმი გაზრდილი მოლოდინები, ხოლო ამ მოლოდინების გამართლება მასში ჩართული პრაქტიკოსების კომპეტენციებზეა დამოკიდებული. ანაზღაურების მქონე ახალგაზრდული მუშაკები მუდმივად მუშაობენ უფრო და უფრო მეტ მოხალისე ახალგაზრდულ მუშაკებთან ერთად და ორივე მათგანი საჭიროებს ტრენინგს. ევროპის მასშტაბით ახალგაზრდული საქმიანობის ტრენინგის შესაძლებლობები ყველგან არ არსებობს.

32. განსხვავებულია ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართვისა და ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის არჩევის გზებიც. ზოგიერთ ქვეყანაში გვხვდება ახალგაზრდული საქმიანობის შესწავლის კონკრეტული პროგრამები ან ახალგაზრდული მუშაკების პროფესიული ტრენინგები. სხვაგან, დაინტერესებულ პირებს ახალგაზრდული საქმიანობის შესწავლა უფრო ფართო სოციალური ან საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეუძლიათ. ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, ახალგაზრდული მუშაკის უნარებისა და კომპეტენციების აღიარებისა და ვალიდაციის არანაირი სისტემა არ არსებობს ან არსებული შესაძლებლობები ძალიან მწირია.

33. სხვადასხვა კონტექსტში ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის განსახორციელებლად საჭირო საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრა და ამ კომპეტენციების შესაძენად ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და ტრენინგისთვის საჭირო თანმიმდევრული ჩარჩოს შემუშავება ხარისხის გარკვეულ დონეს უზრუნველყოფს. ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული პირებისთვის კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩარჩო ნათლად წარმოაჩენს იმას თუ რა ევალებათ ახალგაზრდულ მუშაკებს და რას ელიან ბენეფიციარები, ის ასევე ხელს შეუწყობს ტრენინგისთვის, პროფესიული განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერებისთვის საჭირო წარმატებული მიდგომების განსაზღვრას.

34. ახალგაზრდული საქმიანობის კვალიფიკაციების განსაზღვრა ახალგაზრდულ საქმიანობაში ჩართული ან ჩართვის მსურველთა პირების კომპეტენციების მიმართ გამჭირვალობას გაზრდის; ეს ასევე ხელს შეუწყობს ახალგაზრდული საქმიანობის ადეკვატური კურიკულუმის შემუშავებას. ამასთან, პოლიტიკის შემუშავების და თანამშრომლობის შესახებ არსებულ ევროპულ დღის წესრიგებს შეუძლიათ პროგრესის დაჩქარება, უკეთესი მიმოხილვის, ასევე სიტუაციისა და საჭირო პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის უფრო ეფექტურად გაზიარებისთვის საჭირო შესაძლებლობების შეთავაზება და დაინტერესებული მხარეების ყველა შესაბამის ჯგუფთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

35. ახალგაზრდული საქმიანობისთვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს უნარების, ცოდნისა და დამოკიდებულებების მნიშვნელობას. იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდული საქმიანობის მრავალი კომპეტენცია სწორედ პრაქტიკაში მუშაობისას ვითარდება, სამუშაო ადგილზე შესწავლა გათვალიწინებული უნდა იყოს განათლებაში, ტრენინგსა და საკვალიფიკაციო სისტემებში. შემოთავაზებული

[14] Youth Partnership (2015), “Expert Group on recognition of youth work and non-formal education: involvement in related policy development, strategies and activities – Report 2010-2015”, Strasbourg and Brussels.

ღონისძიებების გატარებისას, საჭიროა აღიარებულ იქნას ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკის მრავალფეროვანი ხასიათი, პროცესში ჩართული ყველა მოქმედი აქტორის, ექსპერტებისა და პრაქტიკოსების გათვალისწინებით. ახალგაზრდული მუშაკებისთვის საჭირო ან სასურველ კომპეტენციებზე შეთანხმება რთული ამოცანა იქნება, თუმცა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის არსებობა აუცილებელია.

36. ევროპაში, როგორც ევროპულ, ისე ეროვნულ დონეზე იმ სისტემების, პროცესებისა და ინსტრუმენტების რამდენიმე მაგალითი შეიძლება გამოიყოს, რომლებიც ზემოთ აღწერილი გამოწვევების პოტენციური გადაჭრის (ნაწილობრივ მაინც) გზებს გვთავაზობენ, ამასთან, მათ ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესების სტიმულირებაც შეუძლიათ.[15] აღნიშნული პროცესები და ინსტრუმენტები, როგორც ფორმალურ და არაფორმალურ განათლების სექტორებთან, ისე ტრენინგებთან, აღიარების პროცესთან და საკვალიფიკაციო პრაქტიკებთან არის დაკავშირებული.

V. შემდგომი კონტროლი

37. მოცემული სამართლებრივი ინსტრუმენტის მნიშვნელობა დიდია, თუმცა მისი შემდეგი პროცესები კიდევ უფრო გადამწყვეტ ხასიათს ატარებს. შესრულებაზე შემდგომი კონკრეტული კონტროლის, ძლიერი კომუნიკაციისა და მტკიცე ხელშეწყობის გარეშე, მინისტრთა კომიტეტის ამ რეკომენდაციამ შესაძლოა სამიზნე აუდიტორიამდე ვერც მიაღწიოს. წევრმა ქვეყნებმა უნდა დააწესონ შემდგომი კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც გააძლიერებს ანგარიშვალდებულებას და ხელს შეუწყობს რეკომენდაციაში არსებული ღონისძიებების პროგრესულ განხორციელებას- დიალოგის, სწავლების, პრაქტიკების გაცვლისა და თანამშრომლობის განმავითარებელი სხვა ფორმებით. სამი წლის შემდეგ, მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით, სემინარის გამართვის ინიციატივა ახალგაზრდული სადამკვირვებლო კომიტეტისა (CDEJ) და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოსთვის (CCJ) ხელსაყრელ შესაძლებლობას წარმოადგენს, იმისთვის რათა შეფასდეს პროგრესი და წევრ ქვეყნებს დამატებითი მხარდაჭერა და მიმართულებები მიეცეთ, საჭიროებისამებრ. აღნიშნული სემინარის ორგანიზება მინისტრთა კომიტეტს, რეკომენდაციის მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ, იმპლემენტაციის პროცესის შეფასებაში დაეხმარება.

[15] მაგალითისთვის იხ. European Commission (2014), op. cit.; EU Council Recommendation on the validation of non-formal and informal learning (2012/C 398/01); SALTO-YOUTH (2014), "European training strategy I: a set of competences for trainers working at international level", SALTO-YOUTH Training and Cooperation Resource Centre / Erasmus+, Brussels; SALTO-YOUTH (2013), "Reinforcing links: experiences of cooperation between the formal and non-formal sector in training youth workers", SALTO-YOUTH Training and Cooperation Resource Centre/Erasmus+; Youth Partnership (2014), "Visible value: mapping of tools and good practices for better recognition of youth work and non-formal learning/education at European and national levels", Strasbourg and Brussels; Council of Europe (2015), "Youth work portfolio", available at www.coe.int/en/web/youth-portfolio, accessed 28 July 2017; SALTO-YOUTH Training and Cooperation Resource Centre/Erasmus+, "Youthpass", available at www.youthpass.eu/en/, accessed 28 July 2017

ტერმინთა განმარტება[16]

მოქალაქეობა/აქტიური მოქალაქეობა

აქტიური მოქალაქეობა დემოკრატიულ პროცესებსა და ინსტიტუტების საქმიანობაში მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას და ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფლებებით და მოვალეობებით სარგებლობას გულისხმობს. ახალგაზრდულ სფეროში განსაკუთრებული აქცენტი მოხალისეობრივი აქტივობების მეშვეობით საჭირო კომპეტენციების შეძენის პროცესზე კეთდება, რომლის მიზანი არამხოლოდ ცოდნის გაფართოება, არამედ ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, მათთვის უნარებისა და პრაქტიკული გამოცდილების გადაცემაა, რათა ისინი აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.[17]

შრომისუნარიანობა

შრომისუნარიანობა ინდივიდის მიღწევებს, უნარებს, შეხედულებებსა და პიროვნულ თვისებებს აერთიანებს, რომელთა მეშვეობითაც იზრდება მისი დასაქმების, დასაქმებულის სტატუსის შენარჩუნებისა და არჩეულ პოზიციაზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. ინდივიდის შრომისუნარიანობა დამოკიდებულია:

- პიროვნულ მახასიათებლებზე (მათ შორის, ცოდნისა და უნარების ადეკვატურობაზე);
- თუ როგორაა წარმოდგენილი აღნიშული პიროვნული მახასიათებლები შრომის ბაზარზე;
- გარემო პირობებსა და სოციალურ კონტექსტზე (ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებისა და ვალიდაციისთვის არსებული სტიმულები და შესაძლებლობები);
- ეკონომიკურ კონტექსტზე.

ახალგაზრდები მსოფლიო სამუშაო ძალის მეოთხედს შეადგენენ, თუმცა მათი უმუშევრად დარჩენის ალბათობა სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ზრდასრულების შემთხვევაში. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალგაზრდების შრომისუნარიანობის დაბალი დონეა, რაც შემდეგ ფაქტორებს უკავშირდება- არასათანადოდ განვითარებული უნარები, სკოლის ნაადრევად დატოვება, დამსაქმებლებთან ოფიციალური კონტრაქტის არსებობა და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობაში მყოფი ფორმალური განათლება. ამრიგად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ სირთულეებისა და პრობლემების გადალახვას, რომლებსაც ახალგაზრდები სამუშაო ბაზარზე, როგორც პირველად მოხვედრისას, ისე იქ პოზიციის შენარჩუნებისას აწყდებიან. დასაქმებისთვის საჭირო უნარების გაძლიერება უდავოდ წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმებისა და მათი აქტიური ჩართულობისთვის აუცილებელ მექანიზმს.[18]

---

[16]ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები, რომლებიც რეკომენდაციაშია მოცემულია, შეგიძლიათ იხილოთ ონლაინ ლექსიკონში: http://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/glossary, ნანახია 2017 წლის 28 ივლისს.

[17] ადაპტირებულია სტატიიდან, Siurala L. (2005), "A European framework for youth policy", Council of Europe Publishing, Strasbourg; and Council of Europe (2016), "Competences for Democratic Culture: glossary of key terms", DGII/EDU/CDCID(2016)4, Council of Europe, Strasbourg.

[18] Brewer L. (2013), "Enhancing youth employability: What? Why and How? Guide to core working skills", International Labour Organisation, Geneva; Resolution concerning human resources training and development, 88th Session of the General Conference of the International Labour Organisation, 2000; CEDEFOP (2011), *Glossary: quality of education and training*, Publications Office of the European Union, Luxembourg

ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდების შესახებ მეტი ინფორმაციისა და ცოდნის არსებობას ახალგაზრდულ სფეროში შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იმისთვის, რათა დაკმაყოფილდეს ახალგაზრდების საჭიროებები და მოლოდინები, პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ემყარებოდეს საფუძვლიან ცოდნასა და ახალგაზრდების მდგომარეობის, საჭიროებებისა და მოლოდინების შესახებ ეფექტურად ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

ევროპაში ახალგაზრდა თაობების წინაშე არსებული სწრაფად ცვალებადი რეალობებისა და მუდმივად მერყევი გარემოებების ფონზე, პოლიტიკის შემუშავების ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ახალგაზრდულ საკითხებზე კვლევების არსებობა საკვანძო როლს ასრულებს ცოდნის გენერირებასა და ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გააზრებაში. ამრიგად, ახალგაზრდულ საკითხებზე კვლევების განხორციელება და მკვლევარებსა და პოლიტიკის შემქმნელთა შორის ინფორმაციის გაზიარება, პოლიტიკის შემუშავების ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომისთვის არსებითი მნიშვნელობის მატარებელია.

ამასთან, ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკა სამეცნიერო საზოგადოების მიერ მიღწეულ შედეგებთან ერთად, ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის მომუშავეთა გამოცდილებებსაც მოიცავს. ცოდნა კი თავის თავში სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის სამეცნიერო წრეებიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან და პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან მიღებულ მონაცემებს, ფაქტებს, რიცხვებს, მტკიცებულებებსა და გამოცდილებებს გულისხმობს.[19]

არაფორმალური სწავლება

არაფორმალურ სწავლებაში იგულისხმება მიზანმიმართული და ნებაყოფლობითი სწავლება, რომელიც ხორციელდება მრავალფეროვან გარემო-პირობებსა და სიტუაციაში და, როდესაც შესწავლის პროცესი/ტრენინგი არ წარმოადგენს ერთადერთ ან ძირითად აქტივობას. აღნიშნული გარემო ფაქტორები და სიტუაციები შეიძლება იყო ერთჯერადი ან პერიოდული ხასიათის, ხოლო აქტივობები და კურსები შეიძლება განხორციელდეს, როგორც პროფესიონალი ფასილიტატორების (ახალგაზრდული ტრენერების), ისე მოხალისეების (ახალგაზრდული ლიდერების) მიერ. აქტივობები და კურსები წინასწარ არის დაგეგმილი, თუმცა მათი სტრუქტურირება ჩვეული განრიგისა ან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მიხედვით იშვიათია. არაფორმალური სწავლება და განათლება, როგორც სწავლა ინსტიტუციური კონტექსტის (სკოლის) გარეთ ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი აქტივობა და მთავარი კომპეტენციაა. ახალგაზრდულ საქმიანობაში არაფორმალურ სწავლებას/განათლებას ხშირ შემთხვევაში სტრუქტურირებული ფორმა აქვს, ეფუძნება სწავლების ამოცანებს, დროს, სწავლისას სპეციფიკურ მხარდაჭერას და აქვს მიზანმიმართული ხასიათი. როგორც წესი, არაფორმალური განათლება არ სრულდება სერტიფიცირებით, თუმცა უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო გახშირდა სერტიფიკატების გაცემა, რაც ინდივიდუალური სასწავლო შედეგების უკეთესად აღიარებას უწყობს ხელს.

ახალგაზრდულ სფეროში არაფორმალური განათლება და სწავლება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ქვეკატეგორია. მას წვლილი შეაქვს ახალგაზრდების მომზადებაში

[19] Adapted from "Knowledge based policy. Better understanding of youth policy framework", Partnership between the European Union and the Council of Europe in the field of youth.

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის.[20]

ახალგაზრდების მონაწილეობა

რეგიონულ და ადგილობრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ (2003წ) ევროპის საბჭოს განახლებული ევროპული ქარტია აღნიშნავს, რომ:

> ნებისმიერი საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია ვიდრე არჩევნებში მონაწილეობა ან ხმის მიცემა, მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად. აქტიური მოქალაქეობა და მონაწილეობა იმ უფლებების, საშუალებების, სივრცის, შესაძლებლობისა და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერის ქონას გულისხმობს, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩასართავად, მასზე გავლენის მოსახდენად, ასევე ქმედებებისა და აქტივობების განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებადაა საჭირო, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.

შეიძლება გამოიყოს მონაწილეობის ორი განზომილება:

- პირდაპირი მონაწილეობა: პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის პირდაპირი ფორმით მოხდენა და იმ სტრუქტურული კავშირების არსებობა, რომლებიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს უკავშირდება;
- მონაწილეობის არაპირდაპირი ფორმები: მოქალაქეებთან ირიბად დაკავშირდება და მათი კონკრეტული საკითხებისა და პოზიციების მხარდაჭერისკენ წახალისება, ასევე ჩნდება დისკუსიების გამართვის, აზრების ფორმირებისა და კამპანიების წარმოების შესაძლებლობები.[21]

აღიარება

ზოგადად, ტერმინი „აღიარება“ მრავალი მნიშვნელობის მატარებელია. ევროპის ახალგაზრდულ სფეროში იგი სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრირების სისტემებსა და ზოგადად საზოგადოებაში, ახალგაზრდული საქმიანობის და არაფორმალური სწავლების მიერ დაკავებულ პოზიციას გულისხმობს.

არსებობს აღიარების ოთხი სხვადასხვა ტიპი:

- ფორმალური აღიარება- სწავლის შედეგების „ვალიდაცია“ და სერტიფიკატებისა ან დიპლომების გაცემის გზით, ინდივიდის მიღწევებს ფორმალურად აღიარება, სწავლის პროცესისა ან/და მისი შედეგების „სერტიფიცირება“;
- პოლიტიკური აღიარება- კანონმდებლობაში არაფორმალური განათლების აღიარება ან/და არაფორმალური სწავლების/განათლების პოლიტიკური სტრატეგიებში შეტანა და აღნიშნულ სტრატეგიებში არაფორმალური სწავლების პროვაიდერების ჩართვა;
- სოციალური აღიარება- სოციალური აქტორების მხრიდან იმ კომპეტენციების მნიშვნელობის გათვითცნობიერება, რომელთა შეძენაც არაფორმალურ გარემო პირობებში არსებული აქტივობებითაა შესაძლებელი, ასევე იმ ორგანიზაციების მნიშვნელობის აღიარება, რომლებიც მსგავს საქმიანობას ახორციელებენ;
- თვით-აღიარება- ინდივიდის მხრიდან სწავლის შედეგებისა და ამ შედეგების

[20] Chisholm L. (2005), “Cheat sheet on recognition terminology”, in SALTO-YOUTH Inclusion Resource Centre, “Bridges for recognition: promoting recognition of youth work across Europe”, Leuven-Louvain; and Youth Partnership (2011), “Pathways 2.0 towards recognition of non-formal learning/education and of youth work in Europe”, Strasbourg and Brussels.

[21] Youth Partnership (2014), “Analytical paper on youth participation – Young people political participation in Europe: What do we mean by participation?”, Strasbourg and Brussels.

სხვა სფეროებში გამოყენების შესაძლებლობის შეფასება.[22]

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანი სწავლის ისეთი პირობების, შესაძლებლობებისა და გამოცდილების შექმნაა, რომლებიც ახალგაზრდებს დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობისთვის და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენის საშუალებას მისცემს, განსაკუთრებით ეს ეხება სამოქალაქო საზოგადოებასა და შრომის ბაზარში ახალგაზრდების აქტიურ როლს. ახალგაზრდული პოლიტიკის საკვანძო ღონისძიებები ხელს უწყობს სამოქალაქო სწავლებასა და პოლიტიკისადმი ინტეგრირებულ მიდგომას.[23]

ახალგაზრდული სექტორი

ახალგაზრდული სექტორი იმ კონკრეტულ სფეროებს მოიცავს, რომლებშიც ახალგაზრდული აქტივობები ხორციელდება, აღნიშნული სფეროები ჩვეულებრივ ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგიებისა ან ახალგაზრდულ სფეროში არსებული სხვა სტრატეგიული დოკუმენტ(ებ)ის ძირითად მიზნებშია განსაზღვრული. ამ სექტორის აქტივობებს ორგანიზებას თავად ახალგაზრდები ან ახალგაზრდული პოლიტიკის აქტორები უწევენ, ხოლო მათი მიზანი ახალგაზრდების პოზიციის გაუმჯობესება და აქტიური მონაწილეობის მისაღებად მათი გაძლიერებაა, ახალგაზრდებისა და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობისთვის. ახალგაზრდული სექტორი მოიცავს: რიგ სამთავრობო ინსტიტუტებს, არსამთავრობო ორგანიზაციებს, სააგენტოებს, კერძო პრაქტიკოსებს, მოხალისეებს, პროგრამებს, მომსახურების სერვისებსა და ახალგაზრდებთან მომუშავე ან ახალგაზრდების კეთილდღეობის მიზნით შექმნილ სხვა აქტორებს.

საერთაშორისო ახალგაზრდული სექტორი სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუციონალურ მოთამაშეებს შორის ურთიერთობების კომპლექსურ ქსელს წარმოადგენს, იგი მოიცავს ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად განხორციელებულ იმ პროგრამებს, რომელთა მიზანიც ახალგაზრდების მიერ თავიანთი თემის ცხოვრებაში წვლილის აქტიურად შეტანა და ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების სფეროში „კარგი მმართველობის“ არსებობაა. საერთაშორისო ახალგაზრდული სექტორი ცდილობს ხელი შეუწყოს მთავრობებისა და სხვა რელევანტური აქტორების (მაგალითად: საერთაშორისო არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციები, საერთაშორისო ინსტიტუციები, კვლევითი სექტორი) მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეფექტური ქმედების განხორციელებას, რათა აღმოიფხვრას ახალგაზრდების წინაშე არსებული საჭიროებები და პრობლემები, კერძოდ კი, ადამიანის განვითარების, სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობის თვალსაზრისით. [24]

გარდამავალი პერიოდი ახალგაზრდებში

ფართო გაგებით, გარდამავალი პერიოდი ახალგაზრდებში მათ დამოკიდებული ცხოვრების ეტაპიდან დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრობის ეტაპზე ტრანზიციას გულისხმობს. გარდამავალ პერიოდში შემდეგი ნაბიჯები მოიაზრება: მშობლების სახლის დატოვება და საკუთარი საცხოვრებლის

[22] Youth Partnership (2011), "Pathways 2.0 towards recognition of non-formal learning/ education and of youth work in Europe", Strasbourg and Brussels

[23] Siurala L. (2005), "A European framework for youth policy", op. cit

[24] Youthpolicy.org (n.d.), "International youth sector: overview", available at www.youthpolicy.org/mappings/internationalyouthsector/overview/, ნანახია 2017 წლის 28 ივლისს.

მოწყობა, განათლების სექტორიდან შრომის ბაზარზე გადასვლა, თანაცხოვრება, და ბავშვების აღზრდა. [25]

ახალგაზრდული საქმიანობა

განსაზღვრება იხილეთ რეკომენდაციის დანართში (ნაწილი ა).

ახალგაზრდული მუშაკები

ანაზღაურების მქონე ან მოხალისეობრივად მომუშავე პირი, რომელიც ახორციელებს ახალგაზრდულ საქმიანობას, მუშაობს ახალგაზრდებთან სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ და ფორმალურს გარე გარემოში და როგორც წესი, მიზნად ისახავს, ინდივიდუალურ ურთიერთობებსა და ჯგუფურ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვის გზით, მათი პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობას. მათი მთავარი ამოცანა სწავლების დროს ფასილიტატორის როლის შესრულებაა, თუმცა ახალგაზრდულ მუშაკებს სოციალური პედაგოგიკისა და სოციალურ მუშაობაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებაც შეუძლიათ. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული როლები და ფუნქციები ერთმანეთთანაა შეთავსებული.[26]

[25] Eurofound (2014), "Mapping youth transitions in Europe", Publications Office of the European Union, Luxembourg

[26] Adapted from Chisholm L. (2005), "Cheat sheet on recognition terminology", op. cit

მოცემული რეკომენდაცია ახალგაზრდულ საქმიანობას მრავალი მიმართულებით ეხება. იგი მიზნად ისახავს წაახალისოს წევრი ქვეყნები, რათა მათ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, შეიმუშავონ ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკა და პრაქტიკა. ამასთან, იგი წევრ ქვეყნებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე ახალგაზრდული საქმიანობისთვის საჭირო მხარდაჭერას გააძლიერებს.

ახალგაზრდული საქმიანობა ფართო ტერმინია. იგი სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვით ან/და პოლიტიკური ხასიათის მქონე აქტივობების დიდ ჯგუფს აერთიანებს, რომლებიც ხორციელდება ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად.

ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება ანაზღაურების მქონე და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების მიერ, ეფუძნება სწავლების არაფორმალურ და ფორმალურს გარე პროცესებს, რომლებიც ახალგაზრდებსა და მოხალისეობრივ მონაწილეობაზე არიან ორიენტირებულნი.

ახალგაზრდული საქმიანობა არსებითად სოციალური პრაქტიკაა, იგი ახალგაზრდებთან და მათ თემებთან მუშაობას გულისხმობს და თემის საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობასა და ინკლუზიას უწყობს ხელს.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ევროპის საბჭო კონტინენტის წამყვანი ორგანიზაციაა. იგი 47 ქვეყანას, მათ შორის ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას აერთიანებს. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, დოკუმენტს, რომელიც შემუშავდა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს წევრ ქვეყნებში კონვენციის იმპლემენტაციის პროცესს.